პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 211 (10605) | კვირა, 9 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს   ნ ო მ ე რ შ ი ა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება დაბალხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის იმ მინიმუმის ოდენობის გადიდების შესახებ, რომელიც გადასახადით არ იბეგრება (1-ლი გვერდი).

ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა ამხანაგების გიორგი დამიანოვის, ანტონ იუგოვის, ტოდორ ჟივკოვისადმი (1-ლი გვერდი).

ამხანაგ დ. ტ. შეპილოვის დეპეშა ამხანაგ კარლო ლუკანოვისადმი (1-ლი გვერდი).

ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ა. გოცირიძე. — ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის (მე-2 გვერდი).

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს. — ა. თომაძე. — მაღალი წველადობის ოსტატი (მე-2 გვერდი).

ფელეტონი. — ბ. უკლაძე. — გიორთლდუმთან კი?! (მე-2 გვერდი).

ვ. თორდუა. — [illegible] (მე-2 გვერდი).

ა. ჩავლეიშვილი. — ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება

## დაბალხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატების შესახებ

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო **ადგენენ:**

1. სანამ განხორციელდებოდეს ღონისძიებანი მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის საერთო მოწესრიგებისათვის, გაუდიდდეთ 1957 წლის 1 იანვრიდან ხელფასი დაბალხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს, ამასთან დაუწესდეთ იგი:

ა) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დასაქმებული არიან უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში, — სულ ცოტა 300-350 მანეთის ოდენობით თვეში;

ბ) დანარჩენ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა უმცროს მომსახურე პერსონალსა და დაცვის მუშაკებს ქალაქებსა და მუშათა დაბებში — სულ ცოტა 300 მანეთის და სოფელ ადგილებში — სულ ცოტა 270 მანეთის ოდენობით თვეში.

ხელფასის ეს მომატება ვრცელდება მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომლებსაც აღნიშნულ ოდენობაზე ნაკლები სატარიფო განაკვეთი ან თანამდებობრივი განაკვეთი აქვთ.

2. დაწესდეს, რომ ანაზღაურება გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პრემიები, ანაზღაურება საზეგანაკვეთო მუშაობისათვის, უქმეღღეებსა და ღამით მუშაობისათვის, დანამატები და ჯილდო ნამსახურობისათვის, აგრეთვე დანამატები შორეული ჩრდილოეთის რაიონებსა და ამ რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში, უწყლო და მაღალმთიან რაიონებში მუშაობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ხელფასის იმ ოდენობის გადამეტებით, რომელიც აღნიშნულია ამ დადგენილების I პუნქტში.

ეს ანაზღაურება გამოიანგარიშება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მოქმედი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი განაკვეთების საფუძველზე.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში განსაზღვრონ ხელფასის მინიმალური ოდენობა ცალკეული დარგების მიხედვით იმ ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში.

4. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევებში, როცა მუშებსა და მოსამსახურეებს ნამუშევარი აქვთ არასრული თვე, ხელფასის ოდენობა ისაზღვრება მოცემულ თვეში ნამუშევარი დროის პროპორციულად.

5. საწარმოებში, მშენებლობებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მოწაფეთა შრომის ანაზღაურება წარმოებდეს მოქმედი წესის შესაბამისად.

იმ მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც სწავლებას გადიან კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, წარმოებდეს ამ დადგენილების I პუნქტის შესაბამისად.

6. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ 1957 წლის I იანვრიდან გაუქმდეს საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება იმ მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და მოსწავლეებისათვის, რომლებიც ხელფასს თუ სტიპენდიას იღებენ 370-მდე მანეთის ოდენობით თვეში.

შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად პროექტი ბრძანებულებისა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის იმ მინიმუმის ოდენობის გადიდების შესახებ, რომელიც გადასახადით არ იბეგრება.

7. გათვალისწინებულ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში 1957 წლისათვის ხარჯები დაბალხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის გადიდების ღონისძიებათა განსახორციელებლად 8 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს, რომ ხელფასი მუშათა და მოსამსახურეთა საშუალოდ მთელ აღნიშნულ ჯგუფს გაუდიდდეს დაახლოებით 33 პროცენტით.

| | | |
|---|---|---|
| სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო |

1956 წ. 8 სექტემბერი.

# ტ ა ნ კ ი ს ტ ი ს   დ ღ ე

დღეს საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალების ტრადიციული დღესასწაული — ტანკისტის დღეა. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები განსაკუთრებული მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამენ სახელოვანი საბჭოთა ტანკისტების სახელებს, რომლებიც საბჭოთა არმიის სხვა მეომრებთან ერთად ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

ტანკისტის დღე წელს აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როცა მთელ ჩვენს დიად სამშობლოში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო შრომა სოციალისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულით აღსავსე ჩვენი ხალხი უანგარო შრომით ყოველდღიურად ამრავლებს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას, თანდათან აფართოებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს — მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯის — თავდაცვისუნარიანობას.

მშვიდობისმოყვარე, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი მზრუნველობითა და სიყვარულით მოსავს თავის შეიარაღებულ ძალებს, ჯავშანსატანკო და მექანიზებულ ნაწილებს, ამაყობს მათი სახელოვანი გმირული ტრადიციებით.

სამამულო ტანკმშენებლობას საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როცა მის მოსპობას ლამობდნენ უცხოელი ინტერვენტები და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალები.

ტანკმშენებლობა განსაკუთრებით განვითარდა და გაიზარდა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად. ხალხისა და პარტიის მზრუნველობით ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ ტანკმშენებელთა და კონსტრუქტორთა, ტანკისტთა შესანიშნავი კადრები. საბჭოთა არმია გამდიდრდა მძლავრი საბრძოლო მანქანებით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, როცა მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალების უძლეველობა და სიდიადე, ჩვენმა ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ნაწილებმა უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები. საბჭოთა ტანკმშენებლებმა და კონსტრუქტორებმა, გმირმა საბჭოთა ხალხმა ომის მძიმე დღეებში თავიანთი მამაცური შემოქმედებითა და შრომით შეძლეს ტანკების რიცხობრივი რაოდენობის მხრივ მტრის დროებითი უპირატესობის გაბათილება, საბჭოთა არმიას მისცეს დიდი სისწრაფისა და მანევრირების მქონე საშუალო და მძიმე ტანკები.

სამშობლოსა და თავისუფლებისადმი მხურვალე სიყვარულს, მშობელი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებას, თავისი მართალი საქმისადმი მტკიცე რწმენას, ყველა ხალხისადმი პატივისცემის გრძნობას, მაღალ საბრძოლო ოსტატობას, რასაც ომის მსვლელობაში იჩენდნენ ჩვენი შეიარაღებული ძალები, აღტაცებაში მოჰყავდა მთელი მსოფლიო.

ჩვენი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს იმ მამაცობას, სიმტკიცესა და თავგანწირვას, რაც გამოიჩინეს სახელოვანმა საბჭოთა ტანკისტებმა დიდი სამამულო ომის დღეებში, იმ ფასდაუდებელ ამაგს, რომელიც მათ შეიტანეს ფაშისტური დამპყრობლების საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში.

ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა გამარჯვებამ, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ნაწილებმა, ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დაადასტურა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა.

საბჭოთა ტანკისტების მამაცური საბრძოლო საქმეები დამსახურებულად დააფასა სამშობლომ: ასობით ტანკისტს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ათასობით ტანკისტი ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული. მათ შორის ბევრნი იყვნენ ქართველი ხალხის შვილები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილთა მხარდამხარ გმირულად ებრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში ვერაგულად შემოჭრილ მტერს.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მთელ თავის სულიერ და ფიზიკურ ძალებს ახმარს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებას, მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, მათს თანმიმდევრულ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისა და კონტაქტების განმტკიცებისათვის. ამასთან ჩვენი ხალხი არ ივიწყებს იმასაც, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ ძლიერი არიან აგრესიის ძალები, რომლებიც ცდილობენ კაცობრიობა ახალი ომისა და ხოცვა-ჟლეტის უფსკრულში გადაჩეხონ. ამიტომ იგი ერთი წუთითაც არ ანელებს ზრუნვას სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის, თავისი შეიარაღებული ძალების — ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და მშვიდობიანი შრომის საიმედო დამცველის — განმტკიცებისათვის.

ხალხის მხურვალე სიყვარულით გარემოსილი საბჭოთა არმიის, მისი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილების მებრძოლები, მამაცი საბჭოთა ტანკისტები, რომლებიც ყოველდღიურად განამტკიცებენ და სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, იმაღლებენ პოლიტიკური მომზადების დონეს, კვლავაც ფხიზლად და მტკიცედ დაიცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის იმ მინიმუმის ოდენობის გადიდების შესახებ, რომელიც გადასახადით არ იბეგრება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც იღებენ ხელფასს 370 მანეთამდე თვეში.

დაწესდეს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასისა და მოსწავლეთა სტიპენდიის მინიმუმი, რომელიც გადასახადით არ იბეგრება, 370 მანეთის ოდენობით ნაცვლად 260 მანეთისა.

2. ამ ბრძანებულების I მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულებაში „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ“:

ბრძანებულების 2 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ ხელფასს არა უმეტეს 370 მანეთისა თვეში“;

ბრძანებულების 2 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მოსწავლეები, რომლებიც იღებენ სტიპენდიას არა უმეტეს 370 მანეთისა თვეში, — ამ სტიპენდიის მიხედვით“.

ბრძანებულების 13 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მოსწავლეები, რომლებიც სტიპენდიას იღებენ 370 მანეთზე მეტს თვეში, და ასპირანტები — მათი სტიპენდიის მიხედვით“.

3. ეს ბრძანებულება ძალაში შევიდეს 1957 წლის I იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი 1956 წ. 8 სექტემბერი.

### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ გიორგი დამიანოვს

### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ანტონ იუგოვს

### ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს

ფაშიზმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითად მოლოცვას გითვლიან თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე ბულგარელ ხალხს.

ბულგარელი მშრომელი ხალხი, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება, მტკიცედ მიდის სოციალისტური მშენებლობის გზით, მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობის, ეროვნული კულტურის განვითარების გზით და აქტიურად იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხებს უხარიათ ბულგარელი ხალხის ისტორიული წარმატებანი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სულით და გულით უსურვებენ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ მოძმე ბულგარელ ხალხს ახალ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში და წარმატებებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხებს შორის!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

| | | |
|---|---|---|
| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ხრუშჩოვი |

მოსკოვი, 1956 წ. 8 სექტემბერი.

### ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ კარლო ლუკანოვს

ფაშისტი დამპყრობლებისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ, ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ ჩემი მხურვალე მოლოცვა და ახალ წარმატებათა გულწრფელი სურვილები თქვენს მუშაობაში, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. შეპილოვი.

მოსკოვი, 1956 წ. 8 სექტემბერი.

# ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

**კრეისერ „მიხეილ კუტუზოვის“ გემბანი,** 7 სექტემბერი. (**საკუთარი სპეც. კორ.**). შავი ზღვის მეზღვაურები განსაკუთრებული გულითადობით შეხვდნენ დღეს კრეისერ „მიხეილ კუტუზოვის“ გემბანზე ინდონეზიელ სტუმრებს. ფოკ-ანძაზე აღმართული იყო ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შტანდარტი.

საპატიო სტუმარს შეხვდნენ ვიცე-ადმირალი ს. ე. ჩურსინი და ხომალდის მეთაური მეორე რანგის კაპიტანი გ. ე. გოლოტა.

ინდონეზიელ სტუმრებს სიტყვით მიმართა ვიცე-ადმირალმა ს. ე. ჩურსინმა.

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა სუკარნომ განაცხადა:

— ამხანაგო ვიცე-ადმირალო, მეგობრებო, ოფიცრებო და მატროსებო! მოხარული ვარ, რომ მოვედი საბჭოთა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდზე. მე აქ ჩამოვედი როგორც ინდონეზიელი ხალხის წარმომადგენელი. ინდონეზია კუნძულების სახელმწიფო, დიდი არქიპელაგია, შემდგარი სამი ათასი კუნძულისაგან, რომლებიც მდებარეობენ აზიისა და ავსტრალიის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების შუა. თქვენ გესმით, რომ ასეთი კუნძულების ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფლოტს. ჩვენ მას ვქმნით თანდათანობით. და ამიტომ მოხარული ვართ ვეწვიოთ თქვენს სამხედრო ხომალდს. მე ჩამოგიტანეთ მთელი ინდონეზიელი ხალხის სალამი და გადმოგცემთ მას.

გაუმარჯოს მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის!

საზეიმო ცერემონიის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა ინდონეზიელი სტუმრების შეხვედრას, ხომალდი ღუზიდან მოიხსნა და გაემართა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით. კრეისერი „მიხეილ კუტუზოვი“ მიდიოდა ორი საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით.

პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად ხომალდზე გაიმართა საუზმე, რომლის დროსაც პრეზიდენტმა წარმოთქვა სიტყვა.

— რუსეთის ფლოტის როლი, განსაკუთრებით რევოლუციის დაწყებითს პერიოდში,—განაცხადა მან,—კარგად ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის და, კერძოდ, ინდონეზიელი ხალხისათვის. და ამიტომ მთელი ინდონეზიელი ხალხი გამოხატავს თავის აღტაცებას იმ როლით, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტმა შეასრულა რუსეთის რევოლუციაში.

ინდონეზიელი ხალხი მოხარული იქნება, რომ ჩვენ ახლა ამ შესანიშნავი ფლოტის ერთ-ერთ ხომალდზე ვართ.

მე ვსვამ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აყვავების, მისი აღმატებულების პრეზიდენტ ვოროშილოვის, საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის მტკიცე მეგობრობის სადღეგრძელოს.

მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა გემზე გამართეს კონცერტი ინდონეზიის წარმომადგენლის პატივსაცემად.

ვიცე-ადმირალმა ჩურსინმა ხომალდის მატროსებისა და ოფიცრების სახელით ინდონეზიის პრეზიდენტს მიართვა საჩუქარი — სახელობითი ხანჯალი.

**საჩუქრის მიღებისას სუკარნომ თქვა:**

— ამ საჩუქარს ვიღებ დიდი მადლობის გრძნობით. მე მას ვაფასებ როგორც ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ნიშანს.

მინდა აგრეთვე რამდენიმე სიტყვა ვთქვა ხომალდის ეკიპაჟზე, რომელმაც ახლა გვიჩვენა თავისი ხელოვნება. მე ვიცი, რომ ჩვენი მოგზაურობის პროგრამა მხოლოდ გუშინ შეიცვალა და ეკიპაჟს ცოტა დრო ჰქონდა კონცერტის მოსამზადებლად. კონცერტი რომ მოვისმინე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს კონცერტი მართლაც შესანიშნავია, და გმადლობთ მისთვის. უახლოეს დღეებში მე დავტოვებ საბჭოთა კავშირს რწმენით, რომ სსრ კავშირის და ინდონეზიის ხალხთა შორის მეგობრობა მტკიცეა.

ერთხელ კიდევ გმადლობთ.

მალე კრეისერი „მიხეილ კუტუზოვი“ გაჩერდა სოჭის რეიდზე. კრეისერ „მიხეილ კუტუზოვის“ მატროსებმა და ოფიცრებმა გულითადად გააცილეს ნაპირზე ინდონეზიელი სტუმრები. პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად მიცემულ იქნა ერების სალუტი 21 ქვემეხის ზალპით.

**სოჭი,** 7 სექტემბერი. (**საკუთარი სპეც. კორ.**). ინდონეზიელი სტუმრები ადიან საზღვაო ვაგზლის ღია გალერიაზე. ვაგზლის წინ ვრცელი მოედანი სავსეა ქალაქის ათასობით მცხოვრებითა და დამსვენებლით. ისინი მოვიდნენ ინდონეზიური და საბჭოთა ალმებით და ყვავილების თაიგულებით. ვაგზლის შენობა მორთულია ინდონეზიის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმებით. ცენტრალური შესასვლელის თავზეა ვეებერთელა წითელი ტილო, რომელზეც წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ინდონეზიელო სტუმრებო!“.

პრეზიდენტს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სოჭის მშრომელთა დე-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

(დასასრული)

პარტიების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ს. ვასილიევმა.

შემდეგ მიკროფონთან მიდის პრეზიდენტი სუკარნო.

— მეგობრებო! — ამბობს იგი. — დიდ მადლობას გიძღვნით თქვენი გულთბილი მისალმებისათვის. ეს ერთხელ კიდევ მარწმუნებს, რომ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა მტკიცეა. მოგზაურობ რა თქვენს ქვეყანაში, ჩამოვედი სოჭში, სადაც ბევრი რამ მომაგონებს სამშობლოს — ინდონეზიას. აქ ისეთივე ამინდია, ისეთივე კაშკაშა მზე და ლურჯი ზღვა, როგორც ჩემს სამშობლოში. ამიტომ აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. (ტაში). და იმიტომ, რომ სოჭში თავს ვგრძნობ როგორც შინ, გთხოვთ ნუ მიწოდებთ ასე ხშირად პრეზიდენტს, მიწოდეთ თქვენი მეგობარი, ძმა კარნო.

ძალიან ნუ შემაქებთ, ნუ მიწოდებთ ინდონეზიის დამოუკიდებლობის მამოვოცებულს, ბანდუნგის კონფერენციის მოწვევის ინიციატორს. ინდონეზიის დამოუკიდებლობა 80-მილიონიანი ინდონეზიელი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგია. აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია მარტო ჩემი იდეა როდია. ეს არის აზიისა და აფრიკის ხალხთა პროტესტი კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

— მე არაერთხელ მითქვამს სამშობლოში, ინდონეზიაში, — თუ მოვკვდი და ინდონეზიის მიწაზე დამმარხეთ, ნუ მოაწყობთ მდიდარ დაკრძალვას და წარწერებს: „აქ დაკრძალულია მისი აღმატებულება ინდონეზიის პირველი პრეზიდენტი“, არამედ წააწერეთ უბრალოდ: აქ დაკრძალულია მეგობარი, ძმა კარნო, ინდონეზიელი ხალხის ფიქრების გამომხატველი.

მეგობრებო! მე დღეს გხედავთ სოჭში, ხოლო ხალხთან შეხვედრისას ჩემი გული თითქოს უფრო დიდი ხდება. მე ჩამოგიტანეთ ინდონეზიის 80-მილიონიანი ხალხის სალამი. მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ გიამბოთ, თუ რა მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული ინდონეზიელი ხალხი საბჭოთა ადამიანებისადმი. დაე განმტკიცდეს მეგობრობა ინდონეზიასა და საბჭოთა კავშირს შორის! დაე ჩვენი ხალხები მაგრად დაეხმარონ ერთმანეთს, დაე მალე იქნას მიღწეული მშვიდობა მთელ მსოფლიოში! (ტაში).

შემდეგ, რაც მშვენივრად გამოიყურება ერთმანეთის გვერდით მოფრიალე ინდონეზიური და საბჭოთა ალმები, თუ პროგრესული ქვეყნების ყველა ალამი ერთად იფრიალებს და ყველა ქვეყანა ითანამშრომლებს ერთმანეთთან, მაშინ იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი დაემხობა, მაშინ ყველა ქვეყნის ხალხებს გეხსნებათ აყვავებისა და ბედნიერი ცხოვრების გზა.

მინდა ჩემი სიტყვა დავამთავრო მოწოდებით: „მერდეკა!“, რაც ნიშნავს „თავისუფლებას“.

შეკრებილნი იმეორებენ მოწოდებას „მერდეკა“. ისმის შეძახილები: „ვაშა!“, „გაუმარჯოს მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის!“.

საზღვაო ვაგზლიდან პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები გაემართნენ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. გზაში სტუმრებს კვლავ მიესალმებოდნენ სოჭის მცხოვრებლები.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

7 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ჰაასი. ელჩმა ჰაასმა ა. ა. გრომიკოს გადასცა ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი გერმანიის გაერთიანების შესახებ, აგრეთვე მემორანდუმი ამ საკითხზე.

ნოტაში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურები ჟენევის პირველ თათბირზე 1955 წლის ივლისში შეთანხმდნენ, „რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა და გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საშუალებით უნდა განხორციელდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად“. სამწუხაროდ, ჟენევის მეორე თათბირზე 1955 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შეუძლებელი აღმოჩნდა ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის საშუალებებისა და გზების შეთანხმება. ახლა 1956 წლის ნახევარზე მეტმა უკვე განვლო ისე, რომ მიღწეული არ არის რაიმე პროგრესი ამ საკითხში.

ფედერალური მთავრობა თავს მოვალედ რაცხს მიუთითოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას ამ ფაქტის სერიოზულობაზე.

ოთხივე სახელმწიფო მუდამ აღიარებდა პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აკისრიათ გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისათვის. ეს პასუხისმგებლობა არ შეიძლება შესრულდეს იმით, რომ გამოთქმულ იქნეს თანხმობა აღნიშნული პრინციპის, თუ მიღწეულ არ იქნა თანხმობა მისი განხორციელების პრაქტიკული გზების შესახებ.

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მრავალი ცდა მიღწეული ყოფილიყო თანხმობა ამ საკითხის შესახებ დიდ სახელმწიფოებს შორის, ფედერალური მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნია წამოაყენოს ამ მომენტში წინადადება ახალი ასეთი თათბირის მოწვევის შესახებ. იგი ფიქრობს, რომ ახალი თათბირი მოწვეულ უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნორმალური დიპლომატიური გზით შეიქმნება იმის დასაბუთებული პერსპექტივა, რომ ასეთი თათბირი წარმატებით იქნება.

ფედერალური მთავრობა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან ერთად, დაინტერესებულია, რათა ამგვარად შეუწყოს ხელი საკითხის გადაჭრას.

ფედერალური მთავრობა ნებას აძლევს თავს თავისი საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში მემორანდუმის სახით, რომელსაც იგი უგზავნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას. მას ასეთი პროცედურა მიზანშეწონილად მიაჩნია იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია აწარმოებს აზრთა გაზიარებას საფრანგეთის, შეერთებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებთან და ამასთან, საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების პირობით, მას დღემდე არ ჰქონია შემთხვევა დაწვრილებით განეხილა გაერთიანების საკითხი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან.

ფედერალური მთავრობა მოგაგონებთ იმასაც, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მარშალმა ვოროშილოვმა, როცა ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ბატონმა ჰაასმა რწმუნების სიგელები გადასცა, კვლავ დაადასტურა ამა წლის 12 მარტის ნოტაში, რომ ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს მთელი გერმანელი ხალხის ეროვნული საკითხის გადაჭრას — გერმანიის ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას. ასეთია ფედერალური მთავრობის აზრიც. ფედერალური მთავრობა იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობის ამ პოზიციას მოჰყვება პრაქტიკული ქმედითი ნაბიჯები გერმანიის ერთიანობის აღსადგენად, რომლებიც მით უფრო სასწრაფოდ საჭიროა, რომ გაერთიანების საკითხი არა მარტო გერმანელი ხალხის ეროვნული მნიშვნელობის საკითხია, არამედ ამასთანავე მას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსი ხალხისათვის და საერთო მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ითვალისწინებს რა, რომ გაერთიანების საკითხის განხილვა საქმის სასარგებლოდ შეიძლება ორ მხარეს შორის აზრთა გაზიარების გზით, მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებით შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ ოთხივე მთავრობასთან, ფედერალური მთავრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისათვის განკუთვნილი თავისი მემორანდუმის ტექსტს ერთსა და იმავე დროს უგზავნის საფრანგეთის, შეერთებული სამეფოსა და შეერთებული შტატების მთავრობებს“.

მიიღო რა აღნიშნული ნოტა, ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, იყო და არის გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აღდგენის თანმიმდევრული მომხრე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას კარგად მოეხსენება საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე, სახელდობრ: გერმანიაში ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში გერმანიის გაერთიანებისათვის სხვა რეალური გზა არ არის, გარდა იმისა, რომ პირდაპირ მოლაპარაკებანი მოეწყოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის შეუთანხმებლად არ შეიძლება გადაიჭრას ეს საკითხი.

ის ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს ხორციელდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამ ქვეყნის მილიტარიზაციისათვის და იქ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ჩასახშობად, რომლებიც გერმანელი ხალხისათვის გარანტირებულია პოტსდამის შეთანხმებით, იწვევენ იმას, რომ შეუძლებელი ხდება გერმანიის სახელმწიფოთა გაერთიანება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე, რაც აგრეთვე არ შეიძლება არ მიიღონ მხედველობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტის განხილვის დროს.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტასა და მემორანდუმზე მიცემულ იქნება სსრ კავშირის მთავრობის შესაბამისი საპასუხო ნოტა.

პარტიული ცხოვრება

# ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის

თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში, აქტიურად განიხილავენ პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კადრების ეკონომიურ განათლებას.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ ბოლომდე აღმოფხვრან პროპაგანდისტულ მუშაობაში პიროვნების კულტის მავნე შედეგები. ამ მიზნით შედგენილია სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლექციების, მოხსენებების და საუბრების მოწყობას მშრომელთათვის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის განსამარტავად.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების და მასალების შესწავლამ გააძლიერა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის ფართო წრეების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხებისადმი. გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები აგიტაციისა და პროპაგანდის პრაქტიკასთან დასაკავშირებლად.

პარტიის რაიკომი ყველა ღონისძიებას ხმარობს იმისათვის, რომ ძირფესვიანად აღმოფხვრას პარტიულ განათლებაში არსებული ნაკლოვანებანი, გასული სასწავლო წლების დროს დაშვებული დამახინჯებანი. მთავარი ყურადღება ექცევა წრეების, სკოლების, სემინარების სწორად დაკომპლექტებას. მთელი ორგანიზაციული მზადება მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიული განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს კომუნისტების მრავალმხრივ მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა შემოქმედებითს შესწავლას როგორც წრეებსა და სკოლებში, ისე თვითგანათლების გზით.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად ზრუნავს კომუნისტების პოლიტიკური და ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. პოლიტიკური სწავლება აქ მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს ცხოვრებასთან. ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან კომუნისტთა სურვილის საფუძველზე უკვე შეიქმნა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 2 სემინარი ქართულ და რუსულ ენებზე, მიმდინარე პოლიტიკის 2 წრე და 2 პოლიტსკოლა. ყველა სემინარი, წრე და სკოლა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტებით.

პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხები დროულად განიხილა პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ. აქ 22 ამხანაგმა გამოთქვა ეკონომიური ცოდნის შეძენის სურვილი. ამიტომ მათთვის იქმნება კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად შერჩეულია ე. ოკოევა, რომელსაც პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მომავალ სასწავლო წელს მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეს უხელმძღვანელებს ფაბრიკის დირექტორი გ. ხომერიკი.

გადაწყვეტილია პარტიის რაიკომთან ჩამოყალიბდეს ორწლიანი ეკონომიური სკოლა, რომელშიც ისწავლიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და საწარმოთა ხელმძღვანელები. ამ სკოლაში სწავლის სურვილი გამოთქვეს საკონდიტრო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ვ. ქეშელავამ, მოდელის სახლის პარტბიუროს მდივანმა პ. ჯერიაშვილმა, თბილწყალმოწყობილობის ქარხნის ინჟინერმა კ. გუნცაძემ და სხვებმა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიული ბიბლიოთეკა. აქ მოწყობილია სახელმძღვანელოების, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა. აქვეა გამოფენა, რომელიც ასახავს რაიონის ქარხნების, ფაბრიკების, არტელების მუშაობას. გამოფენაზე საწარმოო მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის ნიმუშები. გასულ კვირაში გამოფენა ბევრმა პროპაგანდისტმა ინახულა. მათ ჩაიწერეს საინტერესო საკითხები, საწარმოებისა და მოწინავე ადამიანების მაჩვენებლები, რომლებსაც პროპაგანდისტულ მუშაობაში გამოიყენებენ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ შესდგომია პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებია, მაგალითად, მეექვსე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის პარტორგანიზაციას.

ასეთივე მდგომარეობაა წყალსადენის მესამე საექსპლოატაციო კანტორის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც პარტიის მოლოტოვის რაიკომს სულ ათიოდე ნაბიჯით არის დაშორებული.

— მიმდინარე წელს, — აცხადებს პარტორგანიზაციის მდივანი მ. მაჩაიძე, — არ გვიმსჯელია ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხზე. პარტიული კრება ვერ მოვიწვიეთ, იმიტომ რომ კანტორის უფროსი შვებულებაშია (!).

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: აქ პარტიული განათლების სისტემაში სწავლის მსურველთა სია აქვთ, მაგრამ იგი დაზუსტებული არ არის. სიაში ვ. რევიშვილის გვერდით მიწერილია: „დამოუკიდებელი პოლიტეკონომია“. კომუნისტი დიასახლისის მ. კირვალიძის გვარს, რომელიც აღნიშნულ პარტორგანიზაციაში ირიცხება, მიწერილი აქვს: „ისწავლოს დამოუკიდებლად მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე“.

ეს ფაქტები, ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებენ.

პარტიის მოლოტოვის რაიკომის, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების, რაიონის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და უზრუნველყონ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება.

ა. გოცირიძე.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

# მაღალი წველადობის ოსტატი

ამ სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალს, რომელიც მეექვსე წელიწადია დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში მუშაობს, რაიონში სამართლიანად უწოდებს ძროხების მაღალი წველადობის ოსტატი.

ელენე პირმისაშვილს მოსავლელად ჩაბარებული ჰყავს 12 ძროხა. იგი ზედმიწევნით იცნობს თვითეულის ხასიათს. მაგალითად, ძროხა „ღვინია“ პირველად რომ ჩაიბარა, ისეთი თავნება იყო, რომ ზოგჯერ წველ რძეს არ იძლეოდა, მაგრამ მომვლელის ალერსმა და განსაკუთრებულმა ყურადღებამ გაჭრა, ახლა „ღვინია“ თვინიერი და მაღალპრო დუქტიული ძროხაა.



ე. პირმისაშვილი

* * *

ფერმაში, სადაც პირმისაშვილი მუშაობს, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რძის წარმოება ერთიორად გაიზარდა, რძის თვითღირებულება შემცირდა. ამაში დიდი როლი შეასრულა ფერმის მექანიზაციამ, საკვები ბაზის განმტკიცებამ და მუშაობაში მოწინავე მეთოდების დანერგვამ. ფერმის მუშაკებმა 10 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს ძროხების წველადობის მიმდინარე წლის გეგმა.

თავის გამოცდილების შესახებ ელენემ შემდეგი გვიამბო:

— ზამთრობით თვითეულ ძროხას დღეში ვაძლევთ 8 კილოგრამ ჭარხალს, 10 კილოგრამ სილოსს, ამდენსავე დაორთქლებულ ჩალას, 25 გრამ მარილს. გარდა ამისა, ძროხებს ეძლევათ ქატო, როში და სხვა კონცენტრატები, ფერმაში გვაქვს საკვებშესამზადებელი სამზარეულო, რის საშუალებითაც უხეშ საკვებს ვაორთქლებთ და ვაქუცმაცებთ. მოწყობილი გვაქვს ავტოსარწყურებლები. ჩემი დაკვირვებით ძროხები დღეში 10-15-ჯერ სვამენ წყალს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტიულობის ამაღლებაში.

მაისიდან ოქტომბრამდე ძროხები მთის საძოვარზე გვყავს. დანერგილია პირუტყვის სადღეღამისო ძოვება, მწვანე საკვების გარდა ძროხებს დამატებით ვაჭმევთ კონცენტრატებს.

ძროხებს დღეში ორჯერ ვწველი, პირველად დილის 6 საათზე, მეორედ — საღამოს 7 საათზე. წველის წინ ძროხას ცურს ვბან თბილი ნელთბილი წყლით, ხოლო ზაფხულში ცივი წყლით, წველის წინ და დამთავრების შემდეგ ვუკეთებ ცურის მასაჟს. პირუტყვი ყოველთვის სუფთად მყავს, ხშირად ვწმენდავ, ვუსუფთავებ თვალებს, ხანდახან ვბან კიდეც.

მაკეობაში ძროხებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. ხბოს მოგებამდე 2 თვით ადრე ძროხის წველას ვწყვეტ, საკვებ რაციონში ვუმატებ კონცენტრატებს, ხოლო წვნიან საკვებს ვაძლევ ნაკლები რაოდენობით, რათა ძროხის ორგანიზმი ზედმეტად არ დაიტვირთოს. მოგების შემდეგ პირუტყვის ულუფას ემატება ჭარხალი, სილოსი, კარტოფილი. ხბოებს 6 თვემდე ხელით ვკვებავ.

ელენე პირმისაშვილი დიდი მონდომებით უვლის ნამატს. მან უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობას 34 ჯანსაღი ხბო ჩააბარა.

მოწინავე მწველავი თავისი გონივრული შრომით მაღალ წარმატებას აღწევს. მიმდინარე სამეურნეო წლის 11 თვეში თვითეულ ძროხაზე 2.671 კილოგრამი რძე მიიღო. რძის ცხიმიანობა 4-4,1 პროცენტს აღწევს. ელენეს ვალდებულებაა წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა 3 ათას კილოგრამამდე აიყვანოს.

პირმისაშვილი მიღწეულით როდი კმაყოფილდება. იგი გულისყურით ეცნობა მოწინავე მეცხოველეთა მუშაობის მეთოდებს. განსაკუთრებით ძვირფასი გამოცდილება შეიძინა ცნობილი დალისტნელი მწველავის სალიმატ ახმედოვასაგან, რომელთანაც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კოლმეურნეები მაღალ შეფასებას აძლევენ პირმისაშვილის შრომას. შარშან მან პრემიის სახით 1 ჯიშიანი ხბო და 1.400 ლიტრი რძე მიიღო.

პირმისაშვილი თავის გამოცდილებას ხალისით უზიარებს ფერმის დანარჩენ მუშაკებს. რძის წარმოებაში სერიოზული წარმატებები აქვთ აგრეთვე ელენეს მეგობრებს თ. ბანცურს და მ. ჯაბანაშვილს.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# წველადობის გეგმების შესრულება

სამტრედია. (საკ. კორ.). სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა 15 აგვისტოსათვის შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 864 ლიტრი რძე ნაცვლად 850 ლიტრისა. ფერმის მუშაკებმა იკისრეს სამეურნეო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოწველონ 5.000 ლიტრი რძე.

თვითეულ საფურაქე ძროხაზე 833,6 ლიტრი რძე მიიღეს სოფელ ჭოგნის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, გეგმა კი 800 ლიტრის მიღებას ითვალისწინებდა. ქალაქის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.322 ლიტრი რძე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმიან დავალებას. ამ კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებმა იკისრეს წლის ბოლომდე თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა აიყვანონ 1.500 ლიტრამდე.

ფელეტონი

# გაწითლდებიან კი?!.

ქვას ალაპარაკებსო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ამ ფელეტონშიც უსულო საგნები უნდა ავამეტყველოთ. მეტი რა ქნას საწყალმა პამიდორმა. ჯერ არის და ეს ვრცელი მინდორი მწვანე ფოთლებით ამოუქარგავს, შემდეგ, რაც მთავარია, ისეთი ლოყებღაჟღაჟა და ჩასუქებული ნაყოფი მოუსხამს, რომ ავ თვალს არ ენახება. აგერ ასფურცელა კომბოსტოც. ამ თვალწარმტაცი ცოცხალი ხალიჩის ფონზე ასე რომ ღვივის და დაუმშვენებია ეს ვრცელი და მადლიანი მიწა, ბარაქიანი ნაყოფით თავს იწონებენ სხვა ბაღჩეული კულტურებიც.

ახლა დარჩა მხოლოდ მოწყვიტო ისინი, სათუთად შეფუთო, ჩააწყო მანქანაში, გააქროლო მაღაზიებისაკენ, რომ მშრომელი ადამიანების სუფრა დაამშვენონ.

დაამშვენონო?!.. ამ სიტყვებზე სირცხვილისაგან უფრო აუწითლდა ლოყები ისედაც სისხლივით წითელ პამიდორს, გაფითრდა ნწვანე კომბოსტო, სახე გაუშავდა ლურჯკანიან ბადრიჯანს.

— ვაი ჩემს გაჩენას, — წამოიძახა გამწარებულმა პამიდორმა (დაუჯერებელია, მაგრამ დამერწმუნეთ ის ცოდვა, რაც გარდაბნის ბაღ-ბოსტნის საბჭოთა მეურნეობასა და რუსთავვაჭრობაში ტრიალებს, ბოსტნეულს კი არა, ქვას აალაპარაკებს), გვიშველეთ... ჩვენი მთესველ-მომშენებელი ვ. ბაძაღუა და რუსთავვაჭრობის დირექტორი მ. გოგსაძე განუწყვეტლივ დავობენ... დავობენ და ამ აყალმაყალში ჩვენ ვიჭყლიტებით.

— ვიჭყლიტებითო!.. შენ რა გიჭირს, ძმობილო! — კვნესით უსაყვედურეს პამიდორს ცხვირდანაყულმა ბადრიჯანმა და კალთებდაგლეჯილმა კომბოსტომ. დაიჭყლიტები და აი დარდი, ბაზის გამგე იოსებ თადიაშვილი და მისი ვაჟი უზარმაზარ კასრში ჩაგიშვებენ (ამბობენ ხეირი ამაშიაო), ჩვენ რა ვქნათ? უპატრონობისაგან ისე ვართ თავსლაფდასხმული, რომ ადამიანი კი არა, საქონელიც არ გვეკარება... ვახ, სოფელო!..

— ნეტავი თქვენს ბედ-იღბალს, ძმებო, — უფრო მისუსტებული ხმით დაიკნავლა ძველ ყუთში მთლად ჩაჭყლეტილმა პამიდორმა. მე საკოლმეურნეო მინდვრიდან გახლავართ (ოხ, რა ლამაზი ვიყავი გუშინ!), თვითონ ბრიგადირმა მომწყვიტა და ფრთხილად ჩამიშვა ყუთში. ...მალე კოლმეურნეობის საწყობში ამოვყავი თავი. ამწონეს. არ მესიამოვნა, როცა საწყობის გამგემ ჩვენი ყუთი ფეხით გადააგდო სასწორიდან... პირველად მაშინ დამეჟეჟა გვერდი... შემდეგ დამზადების კანტორაში გამაქროლეს. აწონდაწონაში კანი ცალკე დამიჟეჟეს და შიგნეული ცალკე... დამზადების კანტორამ ხილ-ბოსტნეულის ბაზაში გადამისროლა, წვენი ცრემლად დავანთხიე, მაგრამ ვინ შემიბრალა. კვლავ ამწონეს და მაღაზიის საწყობში მიკრეს თავი. ერთი დღეღამე ბნელ სარდაფში ვლაფავდი სულს, წვენისაგან ვიცლებოდი და აჰა, როგორც იქნა, უკვე მიხრწნილი შემაგდეს დახლის ქვეშ.

— უთავოს მეძახიან, მაგრამ მეც კი მიკვირდებოდი, ბატონებო, რომ აჯობებდა, პამიდორი ამდენი ტანჯვის ნაცვლად კოლმეურნეობიდან პირდაპირ მაღაზიაში მიეტანათ, — ნაღვლიანად თქვა კუდმოტეხილმა სტაფილომ.

— ულვაში შეურცხვეს იმას, ვინც ასე დაგვტანჯა და ხარისხი დაგვიკარგა, — დაუმატა ფოთლებდამჭკნარმა და ლაფში ამოვლებულმა ოხრახუშმა.

— არ შეცდეთ, ბოშო! მთავარია თავი, თორემ ულვაშები მეც კი მაბია, — უკბილობის გამო ჩიფჩიფით უპასუხა სიმინდის დაჭკნარმა ტარომ (საერთოდ რუსთავვაჭრობის მაღაზიებში იყიდება გამხმარი „ჭყინტი სიმინდი“, რომელსაც აქა-იქ აქვს მარცვალი) და მაინც ულვაშებზე გადაისვა ხელი.

მათ ჰქონდათ ასეთი ჩივილის საფუძველი. წელს გარდაბნის ბაღ-ბოსტნის საბჭოთა მეურნეობაში 160 ტონა კომბოსტო, 10 ტონა სალათა დალპა. ამას საბჭოთა მეურნეობა რუსთავვაჭრობას აბრალებს: „ბაზამდე მანქანებით მიტანილი ბოსტნეული უმიზეზოდ უკანვე დაგვიბრუნესო“. რუსთავვაჭრობა საბჭოთა მეურნეობას ამტყუნებს: „კომბოსტო და ბადრიჯანი რათ გვინდოდა, სჯობდა თბილისში წაეღოთ, ჩვენთვის ხილი და გადარჩეული პამიდორი უნდა ჩაებარებინათო“. და ეს მაშინ, როცა ხუთ სექტემბერს (და განა მარტო ამ დღეს?) რუსთავვაჭრობის მთელ რიგ მაღაზიებში პამიდორი და ბადრიჯანი არ იყო, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში ბადრიჯანი და სხვა ბოსტნეული ცის ქვეშ ეყარა და ლპებოდა.



ამბობენ, ბოსტნეულის ჩივილი ყოველდღე ესმით რუსთავვაჭრობის მეცამეტე მაღაზიის გამგეს მ. მამულაშვილს, 42-ე ფარდულის გამყიდველს გ. ბაბაიანს, მეთორმეტე მაღაზიის სექციის გამგეს პ. ჯანელიძეს, განსაკუთრებით ხილ-ბოსტნეულის ბაზის გამგეს ი. თადიაშვილს, მაგრამ იმის გამო, რომ ამღვრეულ წყალში მეტი თევზის დაჭერა შეიძლება, ყურსაც არ იბერტყავენ.

ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად ახერხებს თუ არა თევზის დაჭერას დახლის ზოგიერთი მუშაკი, მაგრამ ერთი კი ცხადია, თავისი მოუქნელი და უყაირათო მუშაობით რუსთავვაჭრობამ უკვე „მოახერხა“ მეტალურგების სუფრისათვის თვეების მანძილზე დაეკლო კარგი ხარისხის ბოსტნეული.

დავა დღესაც გრძელდება. კვლავ ფუჭდება ბოსტნეული, ლპება კომბოსტო, ბადრიჯანი, იჭყლიტება, სირცხვილისაგან წითლდება პამიდორი...

არა, პამიდორს სირცხვილის შეგრძნობა არა აქვს, ის თავისთავად არის წითელი, მაგრამ საკითხავია, სირცხვილისაგან გაწითლდებიან თუ არა რუსთავვაჭრობისა და გარდაბნის ბაღ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავენ?

ბ. ეკალაძე.

## მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია გენიჩესკში

### ძმური შეხვედრა

გენიჩესკი, 8 სექტემბერი. (ტელეგრაფით). იქ, სადაც ყირიმის ოლქის საზღვარია, ჩონგარის ხიდთან მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს გენიჩესკელმა მეგობრებმა. აქ იყვნენ ანდრეევის სახელობის, სვერდლოვის სახელობის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობების, კოლმეურნეობა „სოციალიზმის გზის" წარმომადგენლები და სხვები.

უკრაინული ტრადიციის მიხედვით დელეგატებს პურმარილი მიართვეს.

დელეგაციის ჩამოსვლისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ლეგუნოვმა, რომელმაც გულთბილად მიმართა მახარაძელებს. მიტინგზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანი ნოვოალექსეევკის მტს-ის ზონაში ს. კონონიხინი, ატამანის 7-წლიანი სკოლის პედაგოგი ლ. ზამირსკაია, მოსწავლე გოგონა ლ. ბაბენკო და სხვები. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ დელეგაციის ხელმძღვანელი პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ა. თოიძე, დელეგაციის წევრი, უფროსი მეცნიერი მუშაკი ი. ჩხაიძე.

გზადაგზა დელეგაციას სტუმართმოყვრულად მიესალმებოდა მოსახლეობა. 10 საათზე მახარაძის რაიონის დელეგაცია ჩავიდა გენიჩესკში, სადაც მას დიდძალი ხალხი შეხვდა. ქალაქის ცენტრში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 8 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

მიტინგი გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. პოვოდმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობა „რევოლუციის ტალღის" თავმჯდომარე პ. გოლოგუზოვი, პარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი ა. პრილიპკო. ამხ. პრილიპკო ასე ამთავრებს თავის მისასალმებელ სიტყვას:

— გენიჩესკელ და მახარაძელ კოლმეურნეთა ტრადიციული მეგობრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორეს. დაე მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა!

მახარაძის რაიონის დელეგაციის სახელით პარტიის რაიკომის მდივანმა ა. თოიძემ და კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ" თავმჯდომარემ ვ. კვირჩილაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადეს გენიჩესკელებს გულთბილი მიღებისათვის.

დელეგაცია რამდენიმე დღეს დარჩება გენიჩესკში.

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

## ყველისა და კარაქის ახალი ქარხანა

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონში რძის გადამუშავება დღემდე პრიმიტიული წესით წარმოებდა. ტრესტმა „საქყველკარაქმრეწვმა" რაიონის ცენტრში ააგო ყველისა და კარაქის ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად 10-15 ტონა რძეს გადაამუშავებს.



ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დასახმარებლად ჩავიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — რ. რამიშვილი, მ. ცუცქირიძე და შ. თოფურიძე, რომლებიც ჩაის კრეფის დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

## სტუდენტები ეხმარებიან მეჩაიეებს

დადგა გადამწყვეტი დღეები ჩაის ფოთლის კრეფაში. ძვირფასია ყოველი დღე და ყოველი საათი. ამ დაძაბულ დღეებში მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასახმარებლად ჩამოვიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 590-მდე სტუდენტი და ლექტორ-მასწავლებელი.

დასახმარებლად ჩამოსულმა სტუდენტებმა შრომითი პათოსი შეიტანეს ლაითურის, ნასაკირალის და ნარუჯის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივებში. ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზაციის ფაკულტეტის პირველი, მეორე და მესამე კურსის 300 სტუდენტი მუშაობს. მათ ხელმძღვანელობენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები ლ. კოპალიანი და პ. მიქელაძე. ნასაკირალისა და ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს კი ეხმარება ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის 290-მდე სტუდენტი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები პ. გვარამაძე და ი. მოსეშვილი. სტუდენტებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში სახელი გაითქვა სტუდენტთა ბრიგადამ, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი დ. თაქთაქიშვილი ხელმძღვანელობს. თაქთაქიშვილის ბრიგადა დღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს. მას მიეკუთვნა ბრიგადებისათვის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა.

შრომაში სახელი გაითქვეს სტუდენტებმა რ. რამიშვილმა, ა. ქოჩიაშვილმა, შ. თოფურიძემ, ო. კოხიამ, თ. ნაზღაიძემ და სხვებმა, რომლებიც დავალებებს 150-250 პროცენტით ასრულებენ. მათ არ ჩამორჩება აგრონომიული ფაკულტეტის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე სტუდენტთა ჯგუფი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა და მეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა სტუდენტთა ბრიგადამ, რომელსაც ასისტენტი მ. ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. კარგად მუშაობენ ბრიგადები, რომლებსაც ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. ფხაკაძე და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები შ. სირაძე, ნ. ელერდაშვილი, გ. ყრუაშვილი და ასისტენტი ვ. ფრანგულაშვილი ხელმძღვანელობენ.

მუყაითი შრომით მეურნეობაში სახელი გაითქვეს სტუდენტებმა ი. ნაბაევამ, ა. იაკოვენკომ, ნ. წივწივაძემ, ქ. ოსატკინამ, ა. გრიდნოევამ, გ. მაისურაძემ, ა. ვოლინამ, ო. ხარიტონოვმა, ვ. ნიკოლაიშვილმა, გ. ონიანმა, ი. ცომაიამ, ქ. მიროტაძემ, ი. ნადიმოვმა, ლ. ყელაურიძემ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ახალგაზრდობის მხარდამხარ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიურად მონაწილეობენ აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები კორეელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები სერგო ჩენი და ვლადიმერ კიმი, რომლებიც ყოველდღიურად 15-18 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ, რაც დღიური დავალების 150-180 პროცენტს უდრის.

სტუდენტი ახალგაზრდობა საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ პირველ ოქტომბრამდე დარჩება, დაეხმარება მათ ჩაის ფოთლის კრეფასა და პლანტაციების დამუშავებაში.

**ვ. ჯაყელი,**
მახარაძის რაიონული გაზეთ „ლენინის დროშის" რედაქტორი.

# რუსული თეატრის სათავეებთან

### პირველი სახელმწიფო თეატრის დაარსების 200 წლისთავის გამო

„ვინ შეძლებს ენით გამოთქვას თეატრის მომხიბვლელობა, მისი მაგიური ძალა ადამიანის სულზე", — სიამაყით წერდა მშობლიური დრამატული თეატრით აღტაცებული დიდი მოაზროვნე ბესარიონ ბელინსკი.

მართლაც ჰქონდა მას საამაყო — გენიალური პავლე მოჩალოვის და მიხეილ შჩეპკინის ოსტატობა ვის არ მოხიბლავდა. მაგრამ ხელოვნების ამ ტიტანებს ხომ წინამორბედნი ჰყავდათ, ისევე როგორც შთამომავალნიც.

რუსეთის პირველი სახელმწიფო თეატრის დაარსების 200 წლისთავზე გავიხსენოთ მისი ის მესვეურნი, რომლებმაც რუსულ თეატრს დიდება მიანიჭეს.

ვის არ სმენია კოსტრომელი თედორე ვოლკოვის სახელი? იგი, ბელინსკის თქმით, „რუსული თეატრის მამაა". აი ეს ვოლკოვი თეატრის სიყვარულით „დაავადებული" იაროსლავლში შინაურ წარმოდგენებს მართავს.

იაროსლავლში რევიზიაზე იყო სენატის ეგზეკუტორი იგნატიევი. ვოლკოვის მიერ გამართულ შინაურ სპექტაკლს დაესწრო და ისე მოეწონა ეს დასი, რომ პეტერბურგში დაბრუნებისთანავე ეს ამბავი აცნობა გენერალ-პროკურორს ნ. უ. ტრუბეცკოის, ამ უკანასკნელმა კი დედოფალს.

1752 წლის 3 იანვარს ვოლკოვის მთელი დასი სატახტო ქალაქში ჩაიყვანეს. ამავე წლის 18 მარტს იაროსლაველებმა დედოფალსა და მის მახლობლებს უჩვენეს როსტოვის მიტროპოლიტის დიმიტრის კომედია „ცოდვილი ადამიანის მონანიება".

სპექტაკლი მოიწონეს, თუმცა შემჩნეულ იქნა კომედიანტების, ასე უწოდებდნენ მაშინ მსახიობთ, ერთგვარი მოუქნელობა და პროვინციული მანერები. გადაწყდა დასის წევრთათვის განათლება მიეღებინებინათ. ბევრი მათგანი კადეტთა კორპუსში ჩარიცხეს.

კადეტთა კორპუსში ჩარიცხულმა იაროსლაველებმა ოთხ წელიწადს დაჰყვეს ამ სასწავლებელში. მოსწავლენი მეცნიერებასთან ერთად სცენიურ გამოცდილებასაც ითვისებდნენ შინაური წარმოდგენების გამართვით.

მმართველი წრეები დარწმუნდნენ, რომ დასი საკმაოდ მომზადებული და განსწავლულია. დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო თეატრის ორგანიზაციის საკითხი.

1756 წლის 30 აგვისტოს (ძვ. სტ.) დედოფალმა გამოაქვეყნა ბრძანებულება სენატისადმი მუდმივი სახელმწიფო რუსული თეატრის დაარსების შესახებ.

თეატრს გადაეცა ვასილიევის კუნძულზე კადეტთა სახლის მახლობლად მდებარე გოლოვინის ქვის სახლი. თეატრის ხელმძღვანელობა დაეკისრა ალექსანდრე სუმაროკოვს.

1756 წლის 24 ოქტომბერს სუმაროკოვმა მოსთხოვა კადეტთა კორპუსს გაეგზავნათ მისთვის კორპუსში მოსწავლე მგალობლები და იაროსლაველები კომედიანტებად ჩასარიცხად, „ვინაიდან ისინი ყველანი ამისათვის საჭირონი არიან". 1 ნოემბერს კადეტთა



თ. ვოლკოვი

* * *

კორპუსი გამოეთხოვა თავის თერთმეტ მოსწავლეს, მაგრამ სუმაროკოვმა სამი უკან დააბრუნა და მიიღო შემდეგი პირები: პავლე უმანოვი, ესტატე სიჩკარიოვი, ლუკა ტატიშჩევი, პროკოფი პრიკაზნი, თევდორე და გრიგოლ ვოლკოვები, ივანე დმიტრევსკი და ალექსი პოპოვი. მათ რიცხვს მიემატნენ გაბრიელ ვოლკოვი, იაკობ შუმსკი, ჩულკოვი და ხუთი მსახიობი ქალი (ზორინა, მიხაილოვა, დები ანანინები და მუსინა-პუშკინა). აი რუსეთის პირველი სახელმწიფო თეატრის დასი.

სპექტაკლები დაიწყო გოლოვინის სახლში, მაგრამ სულ მალე, 1757 წლის მეორე ნახევარში, გადატანილ იქნა კარის სცენაზე საზაფხულო ბაღის მახლობლად.

ამავე წელს თეატრის შესანახი ხარჯები გაადიდეს, თეატრი სასახლის საუწყებო კანტორის გამგებლობაში გადავიდა და აქტიორებმა მიიღეს „სასახლის კარის კომედიანტების" სახელწოდება.

როგორი იყო ამ თეატრის რეპერტუარი? ელისაბედის ეპოქის თეატრის დრამატურგიის მამამთავარი თვით სუმაროკოვი იყო. მისი ტრაგედიებითა და კომედიებით ივსებოდა თეატრი. მან დრამატურგიაში მთელი სკოლა შექმნა და მიმბაძველები გაიჩინა — კნიაჟნინი, დერჟავინი და სხვ.

სუმაროკოვის ტრაგედიებს თუ თავის დროზე დიდი მოწონება ჰქონდა, ეს მიეწერება პირველი სახელმწიფო დასის მსახიობთა დიდ ნიჭს.

ვოლკოვმა, დმიტრევსკიმ, შუმსკიმ, ტროეპოლსკაიამ ხელი შეუწყეს სუმაროკოვის გამარჯვებას. სახელმწიფო დასის ეს პიონერები მეტად ნიჭიერნი იყვნენ, გატაცებით უყვარდათ თეატრი და მთელი თავიანთი სიცოცხლე მის კეთილდღეობას შესწირეს. თანამედროვეთა გადმოცემით დიდი ტემპერამენტით აღჭურვილი მსახიობი თ. ვოლკოვი ღრმად განათლებული ადამიანიც იყო.

მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა მსახიობი ი. დმიტრევსკიც. მგოსნები, მათ შორის თვით სუმაროკოვიც მას ხოტბას ასხამდნენ.

მის თამაშში კეთილშობილური პათოსი და უბრალოება ისე ბუნებრივად იყო შერწყმული, რომ მაყურებელს ხიბლავდა.

ტყუილად კი არ ამბობდა მასზე ერთ-ერთი მისი მეხოტბე:

> «...на театре Дмитревский лишь
> явится,
> В других тогда пред ним искусство
> все затмится».

დიდი წარმატებით სარგებლობდა სცენაზე შუმსკიც. მის ბუნებრივ კომიზმს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები. გოლბერგის კომედია „ჰენრიხ და პერნილაში" შუმსკიმ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა ფონვიზინი, რომ უკანასკნელი თავს ვეღარ იკავებდა და ისე ხარხარებდა, რომ მთელი დარბაზის ყურადღება მიიპყრო. სპექტაკლის დამთავრებისას მაყურებლები შუმსკის თაიგულებთან ერთად ასიგნაციებით გატენილ ქისებს ესროდნენ.

რუსული დრამატული თეატრის პირველობა მთელი მსოფლიოს მიერ არის ცნობილი და უდავოდ მიჩნეული.

რუსულ რეალისტურ თეატრს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ეს თეატრი მტკიცედ დაეუფლა ხელოვნების მბრძანებელ მწვერვალებს და სულ წინდაწინ მიისწრაფვის. ამ მიღწევებისათვის მადლიერი მაყურებელი ყოველთვის გაიხსენებს ხელოვნების იმ პიონერებს — თ. ვოლკოვს, ი. დმიტრევსკის და სხვებს, რომლებმაც რუსული თეატრის დიდებას საძირკველი ჩაუყარეს.

**ა. ბურთიკაშვილი.**

## მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი თელავში

თელავი. (საკ. კორ.). თელავში საგასტროლოდ ჩამოვიდა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი", ინსცენირებული გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას მიერ, და ფ. შილერის „პრინცესა ტურანდოტი". სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარშია აგრეთვე გ. ბერძენიშვილის „კოჭლი მეწისქვილე", ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი", ო. თუმანიანის „გიქორ" და ა. კაჭკაჭიშვილის „ამბავი ორი ბიჭისა".

თეატრის კოლექტივი სპექტაკლებს გამართავს აგრეთვე გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში.

# შრიალებენ ტყეები

დაბა სურამში, რკინიგზის მარცხენა მხარეს, პირველი მაისის ქუჩაზე თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ერთი აგურის სახლი ფართო ეზოთი, პატარა დამხმარე ნაგებობებით. შენობის განიერ სახურავს სვანური ციხე-კოშკის მსგავსად ქონგურები ართყია. სახურავის მარცხენა მხარეს ძირითადი შენობის თავზე კიდევ ერთი სართულია აღმართული, სათვალთვალო კოშკი გეგონებათ, დიდი რომ არ იყოს. შენობა დაწესებულებისას არა ჰგავს — არავინ ჩანს, არ არის ხმაური და ხალხმრავლობა. არცთუ საცხოვრებელ სახლად მიიჩნევთ. ეზოში მონასტრული მყუდროებაა. პირველი სართულის საპარადო კარი ღიაა. შიგნით ერთიმეორის გაგრძელებაზე დარბაზებია, მათი კარებიც ღიაა. ბოლო დარბაზის კუთხეში ორი მოხუცი ფუსფუსებს. ერთი მათგანი ქილის ყვითელ სავარძელში ზის, ზამთრის შავი პიჟამით, სათვალით, თეთრი ბუღანჟეთი, თითქოს ჩამოთოვლილი წარბ-წამწამით... დავით კლდიაშვილის უკანასკნელი პორტრეტი ხომ გახსოვთ, ოდნავ შეჭმუხვნილი წარბებით, სათვალიდან გამომზირალი ღრმად ჩამკვირვებელი თვალებით, თითქოს გულის სიღრმეში იძახის: „ვნახე, ვიპოვნე, რაც მინდოდა, გავხსენი საიდუმლოებაო", — აი სწორედ ასეთი, დავითისებური გამომეტყველების მოხუცი...

რაკი დავითის სახე აღმიდგინა, ჩანს საყვარელი მოხუცი უნდა იყოს ესეც. სახე ხომ გულის სარკეა.

მასთან ახლოს პატარა სკამზე ზის გამხდარი, ფაქიზი მოხუცი ქალი, თეთრწინწკლებიანი თალხი კაბით, მარცხენა ხელის იდაყვი სავარძლის სახელურზე დაუდევს, რაღაც სურათების დიდ ალბომს ინტერესით ფურცლავს.

— ბაიანთხევის ხერი, მიხეილ, ბაიანთხევის ხერი, გახსოვს? —მოისმის მისი მოხუცებულობით გაბზარული ხმა. — არაფერი ისე არ აბრუნებთ მოხუცთ თავიანთი ახალგაზრდობის მოგონებასთან, როგორც შვილები და ხეები, რომლებიც თვითონ დაურგავთ... როგორ იზრდებიან მაინც ეს დალოცვილები!

— ჰე, შევიდეთ ახლა, არ დაგვიფრთხნენ მოხუცები, — მოგვხვია გაშლილი მკლავები ინჟინერმა ალექსანდრე შათირიშვილმა.

— დამაცა, ბიჭო! შენ აქ უყურე, ეს მისი ნახატებია — „თოვლი ტყეში", „ირემი წყაროსთან", ესეც მისია — შოთა, გამოსახული არქიხის ქერქზე... — შეაჩერა ალექსანდრე ბოკუჩავამ მეგობარი, — მხატვარი კი არ არის, და აი სიყვარულმა ხელში ფუნჯი აალებინა!..

— კალამიც, — ჩაურთო მეორე ალექსანდრემ, შათირიშვილმა, — „ივერიის" ნომრები ხომ გინახავს, მისი ეტიუდებია დაბეჭდილი,



უხუცესი მეტყევე მ. მურვანიშვილი

* * *

„სახალხო გაზეთშიც" სტატიები, „კავკაზსკოე ხოზიაისტვოშიც" შენიშვნები.

— და ეს ყველაფერი ტყის გარშემო. არა, უყვარდა, ძმაო, ამ კაცს ტყე, — დაუდასტურა შურამ. — შევიდეთ, შევიდეთ!..

შათირიშვილი სიტყვაძუნწი ახალგაზრდაა, ჩუმი, თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდეს — გინდ გაიგონე, გინდ არა. შურა კი, პირიქით, რომ დაელაპარაკებს, ტყეში ტოტები უნდა შეირხნენ, თითქოს ქარმა დაჰბერაო, შინ თუა, კედლებიც უნდა ამეტყველდნენ. ცხადია, ყური მოგვკრეს მოხუცებმა.

— ოჰ, სტუმრები, მიხეილ... — დაფაცურდა მოხუცი ქალი, ალბომი მაგიდაზე დადო, ჩვენკენ ნაბიჯი გადმოდგა.

— შურა ხარ, ალექსანდრ გრიგორიჩი? — შემობრუნდა ჩვენკენ სავარძელში მჯდომი მოხუცი კაცი. — ასე უნდა, შურა? შენ ხომ იცი, როგორ მახარებ მოსვლით, ა? ასე უნდა?...

შურა იღიმებოდა, სიყვარულით ელაპარაკებოდა სავარძელზე დახრილი, როგორც შვილი დიდი ხნის უნახავ მამას. მოხუცი თავის ხელებიდან არ უშვებდა შურას ხელებს, თანაც ჩვენ გვეუბნებოდა:

— ტყის მყუდროებაში ღრმად დაფიქრებულს სადმე გვერდით უცაბედად შაშვი რომ აგიჭახჭახდეს და სიცოცხლესთან დაგაბრუნოს, ასეთია შურას მოსვლა ჩემთვის... შენ კი კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდები... ვასო იყო?

— იყო, მიხაილ ილიჩ, — დაუდასტურა შათირიშვილმა, — აქაც ხომ იყო?

— მინახულა, კი.

— ბევრი ვილაპარაკეთ თქვენზე, მიხაილ ილიჩ, — ჩაურთო ბოკუჩავამ, — ჩვენი ტყეების უხუცეს მეგობართაგან მიხეილი უთუოდ ყველაზე დვაწლმოსილია, თქვა გულისაშვილმა.

— ვასომ? ჰო, ვასო, ვასო... ჩვენი მეტყევე-მეცნიერი, ჩვენს თვალწინ გაზრდილი, არა, ვარვარა დიმიტროვნა?!

ბარბარემ გაიღიმა კეთილი, კმაყოფილების ღიმილით, თვალი შეგვავლო, თითქოს ჩვენს სახეზე თანაგრძნობის ამოკითხვა უნდა ამ კმაყოფილებისთვისო.

— ბიძაშვილია ბარბარესი, იცის სტუმარმა? გამიკვირდა, გამიხარდა.

— მაშ, ამ მოხუცთ წარუმართავთ ჩვენი ქართველი მეტყევე-მეცნიერის გზა! — ვეჩურჩულები შურას.

— არ შევცდებით, თუ ასე ვიტყვით. ვასილი სულ პატარა ყოფილა, ესენი რომ შეუღლებულან, ცხადია, შეაყვარებდა ტყეს მიხეილი, — მიდასტურებს ინჟინერი ბოკუჩავა.

...ალბომი მაინტერესებს. ეს ვეებერთელა, ფაქიზად შედგენილი ალბომი უთუოდ მატიანეა ამ ძველი ოჯახისა. აქ იქნებიან ალბათ ამ მოხუცთა მამაპაპანი, ფერშეცვლილ მუყაოზე გამოსახულნი, აქ იქნებიან დიდი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები. ამეტყველდებიან ფოტოებზე ადამიანები და დრონი წარსულნიც.

პირველი სქელი მუყაოს ფურცელი ალბომისა... ეს რა შრომის პროცესებია? — თესავენ. შემდეგი ფურცელი: ეს რა ბალახებია? — ვაკვირდები, ბალახს არა ჰგავს. ვფურცლავ — იგივე მიდამოები, მხოლოდ „ბალახები" აქ უკვე ფიჭვის ბუჩქებად ჩამწკრივებულან. მომდევნო ფურცელი — ბუჩქები ადამიანს მხრებამდე სწვდებიან, შემდგომი ფურცლები — ფიჭვებს ტანი აუყრიათ, ფოტოსურათზე ტყეა აქოჩრილი, მასში ადამიანები ძლივსღა მოჩანან. ვფურცლავ ალბომს — იზრდებიან ტყეები, და აი ბოლო სურათი ალბომის ფურცლიდან — თქვენ მას ხედავთ, ფიჭვნარს, ნათელ ცას რომ მიბჯენია, ახოვანს, ტოტებგაშლილს, მზისხხივდაფრქვეულს, ბილიკებით დამშვენებულს.

აქ არა ჩანს მხოლოდ, მაგრამ მასში უნდა იყოთ, რომ ნახოთ და იგრძნოთ: ფიჭვნარის მუდმივი ბინადრების — ათასნაირ ფრინველთა გალობა-ჟღურტული, ნელი ნიავი, სახეზე რომ გელამუნებათ, მსუბუქი, ლაღი, სურნელოვანი ჰაერი, ხარბად რომ ისუნთქავთ, მყუდროება რომ გამშვიდებთ და გასვენებთ. ტყე უნდა ნახოთ, მის სიღრმეში უნდა იყოთ, გზაც დაგებნეთ, რომ იგრძნოთ მისი სიდიადე, სიკეთე, სიმშვენიერე...

ალბომმა მოლოდინი არ გამიმართლა, მაგრამ მან გამაკვირვა და სხვანაირად გამახარა. ტყისადმი რაოდენ ადამიანური სიყვარულის გამომხატველია იგი! დედები ადგენენ ასეთ ალბომებს: შვილისას, ვთქვათ, ერთი თვის ასაკიდან, და შემდეგ, — როგორ იზრდება, ჭაბუკდება, ვაჟკაცდება... ასევე შეუდგენიათ ამ მოხუცებს თავიანთი ინიციატივით დათესილი, დარგული და შემდეგ დავაჟკაცებული ტყეების ალბომი. მაგრამ ამ ალბომში ასახული ტყეები მხოლოდ „ნაბოლარაა" იმ ტყეებს შორის, რაც სამოცზე მეტი წლის მანძილზე მიხეილ ილიას-ძე მურვანიშვილის, ჩვენი უხუცესი მეტყევის თაოსნობით დარგულა და გახარებულა. ეს ძველი, „უფროსი თაობის" ტყეები კი შრიალებენ, ხარობენ და იმარჯვებენ წაღვერსა და ბაკურიანში, სურამსა და აბასთუმანში, ხაშურსა და წყალტუბოში, ბახმაროზე და ბორჯომში როგორც მამისაგან გამონაყოფ უფროს შვილთა ოჯახები.

ახლა კი მივხვდი, მოხუც ბარბარეს რათ ეჭირა ხელში ასე სიყვარულით ეს ალბომი, მივხვდი მისი სიტყვების მნიშვნელობასაც: არაფერი ისე არ აბრუნებს მოხუცთ თავიანთი ახალგაზრდობის მოგონებასთან, როგორც შვილები, და თავიანთი ხელით დარგული ხეებიო.

ამ ორი მოხუცის მთელი წარსული ხალხისადმი უანგარო სამსახურის ნიმუშია. ბარბარე ერთ ხანს მასწავლებლობდა, შემდეგ მხარში edga თავის საყვარელ ერთგულ მეუღლეს ყოველ ახალ წამოწყებაში. მიხეილი გიმნაზიისა და სატყეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1893 წლიდან განუწყვეტლივ მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით საკურორტო ადგილებში ტყის გამგის თანაშემწედ, ტყის გამგედ, სატყეო განყოფილების გამგედ, სატყეო მეურნეობის დირექტორად, გახდა შესანიშნავი მეტყევე სპეციალისტი. მან ააშენა პირველი თესლსაშრობი ქარხანა, საიდანაც თესლი რუსეთშიც კი იგზავნებოდა, მოაწყო ბორჯომში სატყეო მუზეუმი, რომლის დირექტორიც იყო (დღეს იქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმია), გააშენა ტყის ჯიშების სანერგეები. მეტყევეობით არ შემოფარგლულა მიხეილ მურვანიშვილის მოღვაწეობა — იგი ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას სოფლის მოსახლეობაში, აარსებდა მოწინავე წრეებს, აწყობდა წიგნების საჯარო კითხვას გლეხებში, მართავდა წარმოდგენებს, ხელმძღვანელობდა წყალსადენების, გზების გაყვანას, სკოლის შენობების აგებას, მონაწილეობდა თეატრების მშენებლობაში, კოოპერატივის დაარსებაში, თანამშრომლობდა პრესაში, ბეჭდავდა კორესპონდენციებს, ფელეტონებს, მოთხრობებს. ორიოდე მოთხრობა (სურათი) ილიას „ივერიაშიც" კი დაიბეჭდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში დაჯილდოებულ იქნა მედლით „შრომითი მამაცობისათვის", დანიშნული აქვს პერსონალური პენსია.

დღეს ღრმა მოხუცი, ოთხმოც წელს გადაცილებული მიხეილ მურვანიშვილი თავის მეუღლითურთ ცხოვრობს დაბა სურამში, თავის დიდ სახლში, ხეხილითა და ვაზით დამშვენებულ ეზოში. ამ სახლში მას წლების მანძილზე ჰქონდა სატყეო მეურნეობის კანტორაც (ზემო სართულზე).

ახლა ამ სატყეო მეურნეობას ნიჭიერი, გამოცდილი ახალგაზრდა სპეციალისტები — მეტყევე-ინჟინრები ხელმძღვანელობენ და მოხუც მურვანიშვილის წამოწყებულ საქმეს სახელოვნად აგრძელებენ. იზრდება, ფართოვდება ტყის მასივები, სანერგეთა ფართობები; ახლა მარტონი არ არიან მეტყევეები, როგორც წარსულში მურვანიშვილი იყო, მათთან არის ხალხი, მათთან არის პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერა, მუდმივი ზრუნვა.

ალექსანდრე ბოკუჩავა — მეტყევე ინჟინერი, მოხუც მურვანიშვილს ასე რომ უყვარს, ხაშურის სატყეო მეურნეობის დირექტორია. ამ მეურნეობის ზონაში მიხეილ მურვანიშვილის ინიციატივით დათესილ-დარგული და გახარებული სურამის ახალგაზრდა ტყეების მასივებიც შედის.

მშობლიური სიყვარულით უყვართ მიხეილ მურვანიშვილი მის უმცროს კოლეგებს. კვირა ისე არ გავა, იგი რომელიმე მეტყევე ინჟინერმა, ტექნიკოსმა, ტყის რომელიმე მუშამ არ მოინახულოს, ამბავი — ხაბარი არ გამოჰკითხოს, არ მოესაუბროს და მოხუცთა მყუდრო სადგომი არ აახმიანოს. კარი მუდამ ღია აქვთ მოხუცთ მომსვლელთათვის. შემოდგომა დადგა. შვილები, შვილიშვილები, დიდი ხანია „ბუდიდან აფრინდნენ" — მუშაობენ, სწავლობენ; საბავშვო ბაღიც, ამ ზაფხულს მოხუცებთან რომ ბინადრობდა, უკვე წავიდა.

— დალოცვილნი, თავს შეგაყვარებენ, გულში დაგისადგურდებიან, და წავლენ, — დალონებული ამბობს ბავშვებზე შეყვარებული ბარბარე. — არ მიყვარს შემოდგომა, შემოდგომაზე გვტოვებენ ბავშვები, როგორც მერცხლები.

— ყოველ წელს სხვადასხვა ბავშვები მოდიან, — საყვედურობს მიხეილი, მუდამ წელს რომ ერთი და იგივენი მოდიოდნენ, მე მათგან ისეთსავე ალბომს შევადგენდი, როგორიც ბაიანთხევისა და კვირაცხოვლის ფიჭვნარებს შევუდგინე... ეჰ, სადღა არის უწინდელი ჯანღონე, თორემ მე მათ არსად არ გავუშვებდი, ჩემთან იქნებოდნენ საბავშვო ბაღიდან თერთმეტი კლასის დამთავრებამდე, და მერე როგორც მოისურვებდნენ...

— ფანტაზიორობ ერთი, მიხეილ, ამ სიბერის ჟამს... — აწყვეტინებს ბარბარე. — შინ შევიდეთ, გენაცვალე, გამკრავი ქარია, შემოდგომისა...

შემოდგომის ქარში შრიალებენ ტყეები.

**ვლადიმერ თორდუა.**



ამ სურათზე მ. მურვანიშვილის გაშენებული [illegible]

ფოტო შ. [illegible]

# ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

თორმეტი წლის წინათ ბულგარელმა ხალხმა სახელოვანი საბჭოთა არმიის დახმარებით თავი დააღწია ფაშისტური მონობის უღელს. ბულგარეთის მუშათა კლასმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა არმიის ძლევამოსილი წინსვლის ვითარებაში გააერთიანა მთელი პატრიოტული ძალები, მოაწყო შეიარაღებული აჯანყება, 1944 წლის 9 სექტემბერს დაამხო ფაშისტური დიქტატურა და დაამყარა სახალხო ხელისუფლება.

რევოლუციის შემდეგ თავისუფალმა ბულგარელმა ხალხმა თავისი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეროვნული კულტურის განვითარების დიდი გზა განვლო.

ცნობილია, რომ მონარქიულ-ფეოდალური რეჟიმის დროს ბულგარეთი ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო. მეტად დაბალი იყო მისი მრეწველობის განვითარების დონე. სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთი მოწინავე ტექნიკისა და კულტურის ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. წარმოიშვა მრავალდარგოვანი ეროვნული მრეწველობა. ხორციელდება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების პოლიტიკა.

მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ელექტრომრეწველობა, გემთმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და სხვა, სრულიად ახალი დარგებია, რომლებიც წინათ ბულგარეთს არა ჰქონია. სახალხო რესპუბლიკის ეროვნული მრეწველობა ახლა 420 სახის ახალ მანქანა-მოწყობილობას უშვებს.

ბულგარელი ხალხის სიამაყეა ქალაქ დიმიტროვოში ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც პირველი ფოლადი სამშობლოს 1953 წელს მისცა. ეს გიგანტი ქარხანა სულ უფრო იზრდება და ფართოვდება. მისი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში ერთი წლის წინათ დაიწყო და დასასრულს უახლოვდება ბრძმედის მშენებლობა. სულ მალე ბულგარელ ხალხს ეროვნული წარმოების არა მარტო ფოლადი, არამედ თუჯიც ექნება.

დიდი მიღწევებია მოპოვებული ელექტრომრეწველობის განვითარების საქმეში. ეს დარგი ომამდელ პერიოდთან შედარებით 3,4-ჯერ გადიდდა. წელიწადზე მეტია მწყობრში დგას ბულგარეთის უდიდესი ელექტროსადგური „სტუდენა", რომელიც აგებულია საბჭოთა ტექნიკის ბაზაზე. ელექტრომრეწველობის სწრაფი აღმავლობის შედეგად მხოლოდ პირველ ხუთწლედში (1949-1953 წლები) ელექტროფიცირებულ იქნა ორი ათასზე მეტი სოფელი.

სწრაფი სოციალისტური გარდაქმნები ხორციელდება ბულგარეთის სოფლის მეურნეობაში. ეს გარდაქმნები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ აღმავლობას.

ბულგარეთის სოფლის მოსახლეობა დაახლოებით ხუთი წლის წინათ დაადგა კოოპერირების გზას. გლეხები პრაქტიკულად დარწმუნდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დიდ უპირატესობაში. ისინი ნებაყოფლობით, სრული შეგნებით შედიან შრომითს კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობებში. სოციალისტური ტიპის მეურნეობებში ახლა უკვე გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 77 პროცენტი.

ბურჟუაზიული პრესა ცდილობს მუქი ფერებით დახატოს სოფლის მეურნეობის განვითარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მონოპოლისტთა ლაქია-კალმოსნები ათასნაირ ჭორებსავრცელებენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ სოციალიზმის მშენებლობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. მაგრამ სოციალიზმისა და დემოკრატიის მტრების ყველა ასეთი ღონისძიება ჩასაფუშავად არის განწირული.

სწრაფად ხორციელდება ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, რაც მზარდი აღმავლობისა და მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა. გასული წლის შემოდგომაზე ბულგარეთის მინდვრებში მუშაობდა 18 ათასზე მეტი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 3 ათასზე მეტი კომბაინი, 5 ათასზე მეტი სალეწი და სხვა მანქანები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კოოპერაციულ მეურნეობებში მინდვრის სამუშაოების თითქმის ორ მესამედს ასრულებენ.

1955 წელს შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობების წევრთა შემოსავალი 1954 წელთან შედარებით 50 პროცენტით გადიდდა. ეს მიღწეულ იქნა მოსავლიანობის ამაღლებით. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 15,9 ცენტნერი ხორბალი, 23,7 ცენტნერი სიმინდი, 18,8 ცენტნერი ქერი, 13,6 ცენტნერი მზესუმზირა და ა. შ. ასეთი მაღალი მოსავალი რევოლუციამდელ ბულგარეთში არასოდეს არ ყოფილა.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კოოპერაციულ მეურნეობებში პირუტყვის წველადობა გადიდდა 150-მდე პროცენტით, ღორის სულადობა — 300 პროცენტით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური აღმავლობის ნათელ სურათს იძლევა მისი ნაციონალური შემოსავლის განუხრელი ზრდა. თუ 1939 წლის ნაციონალურ შემოსავალს 100-ად ჩავთვლით, 1949 წელს იგი იყო 106,2, 1951 წელს — 155,6, 1953 წელს — 188,9, 1955 წელს — 205,1, 1956 წელს — 218,6 (გეგმით).

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობიდან და სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის შეფარდებას. თუ პირველ ხუთწლედში ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წილი სჭარბობდა (43,6—37,9), ახლა უკვე მრეწველობიდან მიღებული შემოსავალი სჭარბობს და იძლევა შეფარდებას 49,2—31. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ მიემართება ინდუსტრიალიზაციის გზით.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა ენერგიულად ზრუნავენ, რომ ყველა პირობა შექმნან მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ საქმეს ემსახურებიან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები, საშუალო და დაწყებითი განათლების ფართო ქსელი, საბავშვო დაწესებულებები.

ცნობილია, რომ ბულგარეთში 1944 წლის 9 სექტემბრამდე არ იყო ბავშვთა ბაგები. ახლა იქ გახსნილია 105 მუდმივი და 566 დროებითი საბავშვო ბაგა. მიმდინარე წელს საბავშვო ბაგებში იზრდება 970.030 ბავშვი.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებას. ბულგარელ მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების დარგის მუშაკებს გარკვეული წვლილი შეაქვთ როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

მშრომელებისათვის გულისხმიერი მზრუნველობის გამოხატულებაა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მხოლოდ პირველ ხუთწლედში ბულგარეთის ქალაქების მოსახლეობამ მიიღო 3 მილიონ 400 ათასზე მეტი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამავე პერიოდში სოფლად აშენდა 41 ათასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი.

აღორძინდნენ და სახე იცვალეს ბულგარეთის ქალაქებმა: სოფიამ, პლოვდივმა, სტალინმა, რუსემ, პლევენმა, დიმიტროვომ, გაბროვომ; აშენდა ახალი კეთილმოწყობილი ქალაქები: დიმიტროვგრადი, მადანი, რუდოზემი და სხვ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ დგას მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ენერგიულად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სადავო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. მან აღადგინა მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიასთან, აუმჯობესებს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას საბერძნეთთან და თურქეთთან, ისწრაფვის გააფართოოს ვაჭრობა ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც პატივს სცემს ბულგარეთის სუვერენიტეტს. ამჟამად ბულგარეთს სავაჭრო ურთიერთობა აქვს 40 სახელმწიფოსთან.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას მოწმობს ის, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება შეიარაღებული ძალების შემცირება, ყველაფერი კეთდება მშვიდობიანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბულგარელი ხალხი სამართლიანად ამაყობს სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებით, მაგრამ იგი თვითკმაყოფილებას როდი ეძლევა, მთელი ძალებით იბრძვის მეორე ხუთწლედის (1953-1957 წლების) საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისათვის, ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისათვის.

მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანა, როგორც ეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე აღინიშნა 1954 წლის თებერვალში, ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის, კერძოდ, მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარება, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, მეცხოველეობის დარგის წინ წამოწევა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

ბულგარელი ხალხი კარგად ართმევს თავს ამ ამოცანებს. მისი ყველა წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა საბჭოთა ხალხის უანგარო, ძმური დახმარება, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ახალ ეკონომიურ შეთანხმებას, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს დაიდო. ამ შეთანხმების საფუძველზე სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ბულგარეთს მიაწვდის 22 ათასზე მეტ ტრაქტორს, 8 ათას სატვირთო მანქანას, 13 ათას კომბაინსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას; მინერალური სასუქების გამოშვება გადიდდება ხუთჯერ. ყოველივე ეს დააჩქარებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას.

ბულგარელი ხალხი მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომით აშენებს ახალ ბედნიერ ცხოვრებას. მისი წარმატებები ახარებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, დემოკრატია და სოციალიზმი.

ა. ჩავლეიშვილი.

## ხელი მოაწერეს კონვენციას მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ

ჟენევა, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჟენევაში ერების სასახლეში ხელი მოაწერეს დამატებით კონვენციას მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა აქ გამართულ კონფერენციაზე ამ საკითხის შესახებ. კონვენციას ხელი მოაწერეს 30 სახელმწიფოს, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა.

როგორც კონფერენციაზე ამერიკის დელეგატმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არ არიან აღნიშნული კონვენციის ხელმოწერით.

* * *

კონვენცია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ არის დამატება ჟენევის 1926 წლის კონვენციისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა მიმდინარე წლის აგვისტოში. ახალი კონვენცია, წინა კონვენციისაგან განსხვავებით, ეხება არა მარტო მონობისა და მონათვაჭრობის საკითხებს, არამედ აგრეთვე მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების საკითხებს. იგი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობა მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმებისათვის.

ახალი კონვენციის თანახმად თვითეული მისი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას „თანდათანობით და რაც შეიძლება მოკლე ვადაში განახორციელოს მონობის მსგავსი ისეთი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების სრული გაუქმება, — იქ სადაც ასეთები არსებობს, — როგორიც არის ბატონყმური მდგომარეობა, ვალის კაბალა, ქალის გათხოვება ისე, რომ უფლება არა აქვს უარი თქვას ამაზე და სხვ.".

კონვენცია სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალებით მონების გადაყვანას ან გადაყვანის ცდას ან ასეთ მოქმედებაში თანამონაწილეობას. კონვენციის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ მონა, რომელმაც თავშესაფარი ჰპოვა ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გემზე, ავტომატურად თავისუფალი ხდება.

კონვენცია აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარებს მონათვაჭრობას, რომელიმე პირის მონად გადაქცევას ან მონურ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ახალი კონვენცია ვრცელდება ყველა არათვითმმართველ, სამეურვეო და კოლონიურ ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს.

## დამთავრდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი

ბრაიტონი, 7 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბრაიტონში ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა ყოველწლიური კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მთავრობას მოუწოდებს მიიღოს ღონისძიებანი მთავრობათა მეთაურების ახალი შეხვედრების მოსაწყობად განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის მიზნით. რეზოლუცია რჩევას იძლევა, რომ პირველი ნაბიჯის სახით მთავრობათა მეთაურებმა მხარი დაუჭირონ წინადადებას ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მისი შემდგომი წარმოების აკრძალვის შესახებ. კონგრესმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დაძაბულობის შენელებას ინგლისის ეკონომიკაში სამხედრო ხარჯების ტვირთის შემცირების გზით.

კონგრესზე შეტანილ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას ყველა რეპრესიული ღონისძიების გაუქმებისა და კუნძულიდან ინგლისის მთელი ჯარების გაყვანის გზით. შეიტანა რა ეს რეზოლუცია, ფიქალის მაღაროებისა და ნავთობსარეწების მუშათა ეროვნული პროფკავშირის წარმომადგენელმა ჯ. მაკარტურმა გააკრიტიკა ინგლისის მთავრობა იმისათვის, რომ იგი არ იბრძვის კვიპროსის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა გენერალური საბჭო, რომლის სახელით ტიუსონმა გასაგებად განაცხადა, რომ იგი განსაკუთრებით ეწინააღმდეგება მოთხოვნას კვიპროსიდან ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ. ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ხელმძღვანელობის ზეგავლენით რეზოლუცია უარყვეს.

რეზოლუცია, რომელიც აკრიტიკებს ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ მან ვერ დაიცვა მუშათა კლასის ინტერესები მთელ რიგ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო და საშინაო საკითხებში, შეიტანა ორთქლმავალმშენებელთა პროფკავშირმა. გენერალურმა საბჭომ საპროცედურო მანევრებით მოახერხა გადაედო კამათი ამ რეზოლუციის გამო, და კონგრესმა განაგრძო მუშაობა ისე, რომ კენჭი არ უყრია ამ საკითხისათვის.

ბევრმა პროფკავშირმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს 40 საათის სამუშაო კვირის შემოღებას. თუმცა 40 საათის სამუშაო კვირის მიღწევა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის წესდების ერთ-ერთი გამოცხადებული მიზანია, მაგრამ ამ რეზოლუციის წინააღმდეგაც გამოვიდა გენერალური საბჭო იმ საფუძველზე, რომ ამისათვის „ჯერ დრო არ დამდგარა". მაგრამ გენერალური საბჭოს თვალსაზრისს დელეგატებმა მხარი არ დაუჭირეს, და რეზოლუცია მიღებულ იქნა 4.209 ათასი ხმით 3.683 ათასი ხმის წინააღმდეგ.

გენერალური საბჭოს სხდომაზე, რომელიც კონგრესის დამთავრების შემდეგ გაიმართა, შავ მუშათა და კომუნალურ მუშათა პროფკავშირის გენერალური მდივანი ტომას უილიამსონი არჩეულ იქნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარედ.

## გი მოლე ალჟირში გაემგზავრა

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს დილით საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გი მოლე სამხედრო თვითმფრინავით ალჟირში ჩავიდა.

## ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ქალაქ ვენეციაში მიმდინარეობს XVII საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც ნაჩვენები იქნება მსოფლიოს 24 სახელმწიფოს კინოფილმები. როგორც გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა" იუწყება, კინოფესტივალი გაიხსნა 16 აგვისტოს. ნაჩვენები იქნა საბავშვო და დოკუმენტალური ფილმები. მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ავსტრიის, ბელგიის, იაპონიის, პოლონეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების კინემატოგრაფისტებმა.

ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები იქნა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებები კინონარკვევი „ალაზნის ველი" (სცენარი ა. კოკილაშვილის, კ. გოგოძისა და შ. ჩაგუნავასი, რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორი ა. სემიონოვი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე) და ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება" მწერალ გ. ადამოვის ამავე სახელწოდების ფანტასტიკურ-სათავგადასავლო მოთხრობის მიხედვით (სცენარი გ. ალექსეევისა და ნ. რიჟკოვისა, დადგმა კ. პიპინაშვილისა, ოპერატორი ფ. ვისოცკი, კომბინირებული გადაღება ბ. ბურავლიოვის, ფ. სემიანიკოვისა და ა. დიმელოვისა).

კინონარკვევ „ალაზნის ველს" მაყურებელი გულთბილად შეხვდა, ხოლო იტალიის გაზეთებმა დადებითი შეფასება მისცეს. კინოფილმ — „ორი ოკეანის საიდუმლოების" დამთავრებისას დარბაზში მაყურებლებმა სამგზის გამართეს ოვაცია.

ფესტივალზე განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კინოფილმებს: „რუხი ყაჩაღი", „ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება", „ბეწვეულის ფერმა", „იარანგაში ცეცხლი ანთია" და მეცნიერულ-პოპულარულ ფერად ფილმს — „ვარსკვლავები ემსახურებიან ადამიანებს".

კინოსასახლის მცირე დარბაზში უჩვენებდნენ სამედიცინო ფილმებს. მოწონება დაიმსახურეს ამ თემაზე შექმნილმა საბჭოთა კინოსურათებმა.



დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას 9 ჰექტარი მსხმოიარე ატმის ბაღი აქვს. მეურნეობის მუშაკებმა წელს ბაღის კარგად მოვლის შედეგად უხვი მოსავალი მოიყვანეს. უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 23 ტონა ატამი. კრეფა წარმატებით მიმდინარეობს. **სურათზე:** მოწინავე მკრეფავი ო. ბაქრაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ნეკროლოგი

### გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის 6 სექტემბერს გარდაიცვალა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე, მეცნიერების



დამსახურებული მოღვაწე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანი.

პროფ. გ. გეხტმანი იყო დიდი ერუდიციის მეცნიერი — გეოგრაფი, ისტორიკოსი, ეკონომისტი და პედაგოგი.

გ. გეხტმანი დაიბადა 1870 წლის 2 სექტემბერს ქ. ქუთაისში. 1890 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, ხოლო 1895 წელს — ხარკოვის უნივერსიტეტი. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში.

გეხტმანის სამეცნიერო მოღვაწეობა განსაკუთრებით გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1921 წლიდან გეხტმანი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1923 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი გეხტმანი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ხასიათის შრომები, აგრეთვე სახელმძღვანელოები. მის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი სამეცნიერო შრომა. იგი იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი საბჭოს აქტიური წევრი. პროფ. გ. გეხტმანი მეცნიერების მგზნებარე პროპაგანდისტი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამეცნიერო კადრების მომზადების დარგშიც.

ხანგრძლივი და უმწიკვლო მოღვაწეობისათვის 1953 წელს გ. ნ. გეხტმანი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

გასულ წელს დიდი ზეიმით აღინიშნა პროფესორ გეხტმანის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი.

პროფესორ გ. გეხტმანის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ფრენბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშებაზე სსრ კავშირის ქალთა გუნდი შეხვდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდს. გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:2 (12:15, 11:15, 15:6, 15:12 და 15:8).

სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი ეთამაშა იუგოსლავიის გუნდს. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:0 (15:12, 17:15 და 15:10).

## საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში

პრაღა, 8 სექტემბერი. გუშინ კლადნოში (ჩეხოსლოვაკია) სტალინოს „შახტიორის" ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა ადგილობრივი „ბანიკის" ფეხბურთელებს. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სირიაში

დამასკო, 7 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ი. ს. სენინი, გუშინ ეწვია დამასკოს საქსოვ-სართავ ფაბრიკას და გაეცნო მის მუშაობას.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა სტუმრები.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ბითარმა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად დარბაზობა გამართა, რომელზეც იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ნაზიმ კუდსი, პრემიერ-მინისტრი საბრი ასალი, მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, სირიაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, დამასკოს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

## ინდონეზიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი რ. აბდულგანი ლენინგრადში

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ორ დღეს ლენინგრადში სტუმრად იყო ინდონეზიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი რ. აბდულგანი.

დღეს დილით ბ-ნი რ. აბდულგანი ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ა. ა. კუზნეცოვის თანხლებით გაემგზავრა პეტროდვორეცში. ქალაქში დაბრუნების შემდეგ იგი იყო ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის სადგურებში, ხოლო შემდეგ ეწვია ერმიტაჟს.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლენინგრადში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ თქვა:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გავეცანი ისტორიულ ლენინგრადს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ვიზიტი ამ ქალაქში ძალიან ხანმოკლე იყო, ბევრი რამის ნახვა შევძელი. მე გამოვიტანე შთაბეჭდილება, რომ ლენინგრადელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქალაქის რეკონსტრუქციაში.

ინდონეზიაში წავიღებ საუცხოო მოგონებას ლენინგრადზე.

საღამოს ბ-ნი რ. აბდულგანი მოსკოვში გაემგზავრა.

## ხანძარი საფრანგეთის ატომის ცენტრში

პარიზი, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს შატილიონის (პარიზის მახლობლად) ატომის ცენტრში ხანძარი გაჩნდა. ხანძარი საათნახევარს გაგრძელდა. იგი ჩააქრეს 8 სახანძრო რაზმის დახმარებით. ხანძრით მიყენებულ ზარალს არ იტყობინებიან.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებიდან

### ადამიანის აღორძინება

**КИТАЙ**

შანხაი ყველაზე დიდი, ყველაზე ხმაურიანი ქალაქია ჩინეთში. ქვეყნის განთავისუფლებამდე იგი იყო ცენტრი ძარცვისა და ექსპლოატაციისა, რასაც ჩვენი ხალხი განიცდიდა უცხოელი იმპერიალისტებისა და გომინდანის კომპრადორული ბურჟუაზიისაგან. დიდძალი განძეული და საზღაპრო მოგება შანხაიდან მიდიოდა საზღვარგარეთ; გაძარცულ და უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდნილ მილიონობით ადამიანთა ხვედრი იყო უსახლკაროთა ტრაგიკული ბედი. ამ დაუცხრომელ, ლამაზ და მდიდარ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ნახავდით მათხოვრებს — როგორც დიდებს, ისე პატარებს; ქურდბაცაცობა და ძარცვა, პროსტიტუცია მასობრივი მოვლენა იყო.

ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ სახალხო მთავრობის ერთ-ერთი პირველი და მთავარი ამოცანა იყო უსახლკაროთა აღზრდა და შრომაში ჩაბმა, მათთვის იმის საშუალების მიცემა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანები გამხდარიყვნენ. შანხაის სახალხო კომიტეტმა მოაწყო მთელი რიგი დაწესებულებები, სადაც ისინი სწავლობენ და იზრდებიან. კერძოდ, შეიქმნა საწარმოო სწავლების სახლები, ქალთა აღსაზრდელი სახლები, ბავშვთა აღსაზრდელი კოლონიები და სხვა ამგვარი დაწესებულებები. აქ უსახლკაროებს უნერგავენ თავისი თავის პატივისცემის გრძნობას, უმაღლებენ საერთო კულტურულ დონეს, ასწავლიან წერა-კითხვას, საშუალებას აძლევენ დაეუფლონ სხვადასხვა სპეციალობას. ამ დაწესებულებებში ისინი უზრუნველყოფილი არიან ყველაფრით, თვით უფასო სამედიცინო დახმარებით.

ექვსი წლის განმავლობაში ამ დაწესებულებებმა მიიღეს 68.390 უსახლკარო, აქედან 51.361 კაცმა უკვე დაამთავრა სწავლების კურსი, შეიძინა სათანადო სპეციალობა და მიიღო სამუშაო. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს და დავინახავთ, თუ რა მოუვიდათ ყოფილ უსახლკაროებს. ტან ბინ-ჟუნი, რომელიც 14 წლის განმავლობაში ქურდობდა და სისტემატურად ოპიუმს ეწეოდა, განთავისუფლების შემდეგ გაიგზავნა საწარმოო სწავლების სახლში და ახლა ოსტატია შანხაის ერთ-ერთ საწარმოში. ჯაო ბაო-სი 13 წლის განმავლობაში მაწანწალობდა შანხაის ქუჩებში; განთავისუფლების შემდეგ სწავლობდა კოლონიაში, მიიღო კვალიფიკაცია და მუშაობა დაიწყო საფეიქრო ფაბრიკა „სინშენში", ახლა ოჯახს მოეკიდა. იმ ქალებმა, რომლებსაც უმუშევრობა, სიღარიბე და შიმშილი აიძულებდა ძველ საზოგადოებაში პროსტიტუციის გზას დასდგომოდნენ, ახლა მთავრობის დახმარებით მიიღეს სპეციალობა, ისწავლეს წერა-კითხვა, ეზიარნენ კულტურულ ცხოვრებას. ბევრი მათგანი, თვალს ავლებს რა განვლილ გზას, ასე ამბობს: „ძველი საზოგადოება ამახინჯებდა ადამიანს, ართმევდა მას ადამიანის სახეს, ახალმა საზოგადოებამ კი ჩვენ კვლავ ადამიანებად გვაქცია".

შანხაიში, სადაც რამდენიმე მილიონი კაცი ცხოვრობს, ახლა ველარ ნახავთ ვერც ერთ უსახლკარო მოზარდს, თითქმის სავსებით მოისპო ქურდობის, სიღატაკისა და პროსტიტუციის კვალი. რაც უფრო ვითარდება სოციალისტური მშენებლობა და მაღლდება მატერიალური კეთილდღეობა, მით უფრო სწრაფად იცვლება ადამიანთა მორალური სახე. უსახლკარობა, სიღატაკე სავსებით ისპობა და წარსულის შავბნელ ისტორიას ბარდება.

ლინ ლი,

ქ. შანხაის სახალხო კომიტეტის სამოქალაქო ადმინისტრაციის განყოფილების უფროსი.

ჟურნალი „ჩინეთი" № 6.

## დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — პირველი მერცხლები (დილას), საქმიანი კაცი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი (დილას), ახალწლის ღამეს (საღამოს), რკინიგზელის სახლი (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები), — ტარიელ გოლუა (დილას) მაია წყნეთელი (საღამოს), ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — უკრაინის რესპუბლიკური საესტრადო ორკესტრისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის შემოქმედებითი შეხვედრა.

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, იხანი, (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — ქალიშვილებმა დათესეს სელი, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კოლხიდა (საზამთრო), ვოროშილოვის სახელობის კლუბი — უბრალო ადამიანები, სპარტაკი, კოლხიდა (საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი — ბედნიერებასთან შეხვედრა, თბილისი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ქუჩის სერენადა, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), კოლმეურნე, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — საეჭვო პიროვნება, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), დიდუბე — თოლიები კვდებიან ნავსადგურში (საზამთრო), — უკვდავების კოცონი (საზაფხულო), ხარეწამო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — მოჯირითე ქალიშვილი, კომკავშირელ — პატიოსნებისათვის, იხანი (საზაფხულო), — ჯადოსნური მახვილი, კიროვის სახელობის პარკი — დაკარგული სამოთხე.


შვილები კესარია, დავით, რძლები პელო, ნინო, შვილიშვილებით იუწყებიან
დედი ეგნატეს ასულ კალანდაძე-გოგოტიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-IX 8 ს. გამოსვენება 13-IX, 5 ს. მაჩაბლის ქ. № 18.

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი" იუწყება
ლავრენტი ვლადიმერის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9-IX, 4 ს. ჩელიუსკინელების ქ. № 5.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11-IX, 3 ს. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შენობიდან, კეცხოველის ქ. № 11.

მამა ვლადიმერ მირცხულავა, ვერა, თამარ, მარო, ლუბა, ვლადიმერ თორდუები ოჯახებით იუწყებიან
ვაჟა ვლადიმერის-ძე მირცხულავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX სოფ. დარჩელში (ზუგდიდის რ.).

მიშა და თამარ სააკაშვილები ოჯახებით იუწყებიან დედის
ქეთევან ქრისტეფორეს ასულ სააკაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 8 ს. გამოსვენება 11-IX, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 86/90.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის
სერგო ივანეს-ძე ჯიქიას
გარდაცვალებას.

დედა მაშო, მეუღლე თამარ, შვილები რუდიკო, რუსუდან, ძმა ნიკოლოზ, დები ელენე, ფატი, კეკელა, რძალი შურა, სიძე გ. თელია იუწყებიან
შოთა სევასტის-ძე ლომჯარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX სოფ. ჭანეთში (მახარაძის რ.).

შვილები ბესარიონ, მარო, რძალი ვერა მარგალიტაძე, სიძე ს. თოდუა და შვილიშვილები იუწყებიან
მიხეილ მაჯის-ძე ჩხაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-IX სოფელ კახათში (ზუგდიდის რ.).

დედა ვარსენიკ, მეუღლე ელენე, შვილი ელგუჯა, ძმა დავით, და სონია, რძალი თინა, სიძე მ. მატიაშვილი ოჯახებით იუწყებიან
გიორგი არტემის-ძე ოგანეზოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 8 ს. გამოსვენება 11-IX, 6 ს. ნარიოს აღმართი № 14.

ნელი ტატიშვილი ნათესავებით იუწყება დედის
მარიამ მარკის ასულ ტატიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 8 ს. გამოსვენება 11-IX, 5 ს. პუშკინის ქ. № 29.


უე 01128

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.